მეექვსე საავტორო სკოლა
Sechste autorisierte Schule

ლადო ასათიანის ქ. 28 თბილისი 0114 ს/კ 404405443
Lado Asatiani Str. 28 0105 Tbilisi ID 404405443

ტელ: 2 995696 Tel: 2 995696

4/107

27 06 2022

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის
უფროსს, ბატონ თეიმურაზ მღებრიშვილს

ბატონო თეიმურზ,

მოგახსენებთ, რომ შპს „მეექვსე საავტორო სკოლა“ (ს/კ 404405443) მდებარეობს თბილისში, ლ. ასათიანის ქუჩის N28-ში. (საკადასტრო კოდი - 01.18.03.068.016) ჩვენი სკოლის შენობის ხელმარჯვნივ არის ჩიხი, რომელსაც ესაზღვრება იქვე მდებარე 2 სართულიანი კორპუსი, (ლ. ასათიანის N28 „ა“) რომელშიც ცხოვრობს 7 ოჯახი (საკადასტრო კოდი - 01.18.03.068.015)

აღნიშნული ჩიხი საპარკინგე ზონად გამოიყენება ჩვენი სკოლის თანამშრომლებისა და 28 „ა“ ნომერში მცხოვრები პირების მიერ. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც უცხო პირები უნებართვოდ აპარკინგებენ თავიანთ ავტომობილებს ნახსენები ჩიხის მიმდებარედ და ჩვენი თანამშრომლებისთვის, ისევე როგორც N28 „ა“ კორპუსში მცხოვრები პირებისათვის, არ რჩება მანქანის გასაჩერებელი ადგილი.

ამ პრობლემის გადასაჭრელად, N28 „ა“-ში მცხოვრებ პირებთან ერთად, უკვე მივმართეთ ქალაქ თბილისის მერიას. თბილისის მერიის განცხადებით, ისინი მზად არიან, მოგვცენ ჩიხის შესასვლელში შლაგბაუმის დამონტაჟების ნებართვა. თუმცა, მათ მიგვითითეს, რომ აღნიშნული ნებართვის გასაცემად, პირველ რიგში, აუცილებელია თქვენი თანხმობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვცეთ ნებართვა, ლ. ასათიანის N28-სა და N28 „ა“-ში მდებარე შენობებით მოსარგებლე პირებისათვის დამონტაჟდეს სპეციალური შლაგბაუმი, რომლის სამართავი პულტიც ექნებათ შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ თანამშრომლებსა და ასათიანის N28 „ა“-ში მცხოვრებ პირებს.
დამატებით, გვსურს განვმარტოთ, რომ ამ ჩიხის შესასვლელში შლაგბაუმის დამონტაჟებით ხელი არ შეეშლება არცერთ სხვა პირს, რადგანაც ამ ჩიხში არ არიან სხვა მცხოვრებლები და არ მდებარეობს რაიმე მნიშვნელობის მქონე არცერთი შენობა-ნაგებობა თუ სხვა ობიექტი.

წერილს თან ერთვის ადგილმდებარეობის დამაზუსტებელი ფოტოსურათებიც.
პატივისცემით,
შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ დირექტორი თუთა ნარმანია (პ/ნ 01010008746)

შპს „მეექვსე საავტორო სკოლა“ • Gmbh „Sechste autorisierte Schule“ • 404405443

ლ. ასათიანის N28 „ა“-ში მცხოვრები პირები:

1. ნინო [illegible] პ/ნ 01024010828 [signature];
2. [illegible] [illegible] პ/ნ 01015004735 [signature];
3. [illegible] [illegible] პ/ნ 01015016467 [signature];
4. [illegible] [illegible] პ/ნ 01015006814 [signature];
5. [illegible] [illegible] პ/ნ 01015008523 [signature];
6. [illegible] [illegible] პ/ნ 01017039909 [signature];
7. [illegible] [illegible] პ/ნ 01015006704 [signature];
8. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;
9. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;
10. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;
11. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;
12. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;
13. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;
14. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;
15. ---------------- ---------------- პ/ნ ---------------------------- ------------ ------------;

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

მოქალაქე, პლატონ მაჭავარიანის (პ/ნ 01017004079)

თანხმობა

მე, პლატონ მაჭავარიანი (პ/ნ 01017004079) თანხმობას ვაცხადებ 01.18.03.068.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, კერძოდ, ლადო ასათიანის №28-ში (შპს მეექვსე საავტორო სკოლის ტერიტორიის შესასვლელში) მოეწყოს ზღუდარი („შლაგ ბაუმი“)

ხელმოწერა : პლატონ მაჭავარიანი

თარიღი 03.07.23

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230879796
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.07.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო შოშიაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ.თბილისი, ლესელიძის ქ. 9**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599531441
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	45174286230823

ორი ათას ოცდასამი წლის სამ ივლისს მე ნინო შოშიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. #9-ში, ვამოწმებ: პლატონ მაჭავარიანის (დაბადებული: 04 ივლისი 1957წ. პირადი #01017004079, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, გალაკტიონის ქუჩა, N 24) ხელმოწერის ნამდვილობას მის მიერ წარმოდგენილ თანხმობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სახელზე, მე შევამოწმე მისი პირადობა, წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ასევე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ მის ხელმოწერას წარმოდგენილ დოკუმენტზე და არა ტექსტის შინაარსს. რის შემდეგ ხელმომწერმა განაცხადა, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.
გადახდილია სანოტარო საზღაური 6.00 ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2011 წლის 29 დეკემბერის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა, ასევე დღგ.1-08 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე და სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია: 12-08 ლარი.

ნოტარიუსი:
ნინო შოშიაშვილი ----------

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეტანის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


ჩიხის
შესასვლელი
01.18.03.068.016
01.18.03.068.007
01.18.03.068.003
01.18.03.068.002
01.15.05.093.017
01.15.05.094.003
01.01.834
01.04.572
01.00.287
01.04.609
01.00.181
NAPR

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 1 22 01784309

01/07/2022

შპს "მეექვსე საავტორო სკოლა"-ს
დირექტორს თუთა ნარმანიას
ტელ: +995 32 299 56 96
ელ.ფოსტა: info@meeqvsesaavtoro.ge
მის: ლადო ასათიანის ქ. N28 თბილისი 0105

ქალბატონო თუთა,

თქვენი, მიმდინარე წლის 28 იავნისის N 1751385 განცხადების პასუხად გაცნობებთ რომ, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ განხილული და ადგილზე შესწავლილი იქნა ზღუდარის ე.წ. "შლაგბაუმი"-ს სავარაუდო განთავსების ადგილი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს სკოლის შემოსავლელ გზას, ხოლო ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად სკოლებს უნდა გააჩნდეს ყველა მხრიდან სახანძრო ავტო-ტექნიკის მისადგომი, რაც აღნიშნულ ობიექტზე გეოგრაფიული მდებარეობის გამო არ არის შესაძლებელი. ამასთან განცხადებაში მითითებული ზღუადარის ე.წ. "შლაგბაუმი"-ს განთავსების ადგილი განსაზღვრულია ჩიხურ გზაზე, რომელსაც არ გააჩნია სახანძრო ავტო-ტექნიკის მოსაბრუნებელი მოედანი 15X15 მეტრზე, რის გამოც აღნიშნული ჩიხური გზის მონაკვეთი სახანძრო ავტო-ტექნიკის მანევრირებისათვის გამოუსადეგარია.
ზემოხსენებულიდან გამომდინარე სამსახური არ არის წინააღმდეგი განცხადებით გათვალისწინებულ ადგილზე განთავსდეს/მოეწყოს ზღუდარი ე.წ "შლაგბაუმი".

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: 60-01221921872
თარიღი: 11/07/2022

ადრესატი: შპს მეექვსე საავტორო სკოლა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404405443
მისამართი: თბილისი, ლადო ასათიანის ქ.28

3/388
13.07.22

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 28 ივნისის N 10/01221792974-01 და 2022 წლის 06 ივლისის N10/01221872192-01 წერილები, რომლებიც ეხება ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N28, ასათიანის ქ. N28ა-ს მიმდებარედ შლაგბაუმის მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საჭიროა საპროექტო დოკუმენტაცია აიტვირთოს ელექტრონული მომსახურების ვებ-გვერდზე (www.tas.ge) და შერჩეული იქნეს ჩასატარებელი სამუშაოების შესაბამისი ნომენკლატურა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ, სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა იმსჯელოს თქვენს მოთხოვნაზე.

პატივისცემით,

კონსტანტინე ღვინჯილია

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, გ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24